ანა საყვარელიძე

ინგლისურენოვანი ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამა
კავკასიის ეკონომიკის სკოლა
იშტეს უნივერსიტეტი ლისაბონში, პორტუგალია

2025 წლის გაზაფხულის სემესტრში მომეცა უნიკალური შესაძლებლობა, განათლება მიმეღო ევროპის ერთ-ერთ წამყვან უნივერსიტეტში სრულად დაფინანსებული პროგრამის ფარგლებში. განსაკუთრებული მადლიერებით აღვნიშნავ Erasmus+-ის, ასევე კავკასიისა და იშტეს უნივერსიტეტების წვლილს ჩემი ოცნების რეალობად ქცევაში.

Erasmus+ გაცვლითი პროგრამის ფარგლებში იშტეს უნივერსიტეტში გატარებული სემესტრი ჩემთვის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი გამოცდილება აღმოჩნდა. ლექტორებმა, როგორც პორტუგალიიდან, ასევე მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებიდან, გამიზიარეს ღირებული თეორიული თუ პრაქტიკული ცოდნა ეკონომიკის სფეროში. მათთან ურთიერთობამ და სიღრმისეულმა დისკუსიებმა მნიშვნელოვნად გააღრმავა ჩემი ინტერესები მაკროეკონომიკის, საერთაშორისო ეკონომიკისა და მენეჯმენტის მიმართულებით. საერთაშორისო სტუდენტებთან ერთად სხვადასხვა პროექტებზე მუშაობამ კი განმივითარა არა მხოლოდ გუნდური მუშაობის გამოცდილება, არამედ კულტურათაშორისი კომუნიკაციის უნარებიც.

ამ დაუვიწყარი 5 თვის განმავლობაში განსაკუთრებით აღსანიშნავი ასპექტი იყო პიროვნული ზრდა. დამოუკიდებლად ცხოვრებამ, ახალ გარემოსთან შეგუებამ და ყოველდღიურ გამოწვევებთან გამკლავებამ, მნიშვნელოვანი გამოცდილება შემძინა. კომფორტის ზონის დატოვება ჩემს ყოველდღიურობად იქცა. ამ პროცესმა კი მასწავლა მრავალფეროვან გარემოში, სხვადასხვა ადამიანებთან ეფექტურად მუშაობა და საკუთარი თავის უკეთ შეცნობა.

ასევე მნიშვნელოვანი იყო საქართველოს გაცნობა უცხოელი სტუდენტებისთვის. საუბრები ჩვენს კულტურაზე, ისტორიასა და ტრადიციებზე ამ თავგადასავლის ყველაზე საინტერესო ნაწილი იყო. ჩემთვის სასიამოვნო გამოცდილება იყო წარმომედგინა ჩემი სამშობლო საერთაშორისო გარემოში.

საბოლოოდ, ერასმუსის პროგრამა ჩემთვის საუნივერსიტეტო შესაძლებლობაზე მეტი აღმოჩნდა. ეს იყო დიდი აღმოჩენების დასაბამი. არსებული გამოცდილება, გამოწვევები და მოგონებები მუდამ იქნება შთაგონების წყარო პროფესიული თუ პიროვნული განვითარების გზაზე.